№ 490. ოთხშაბათი, 23 მარტი. 1896—1898 ოთხშაბათი, 23 მარტი, № 490.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.

ადგილის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპიკი.

ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фреилинская №13
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცლის“
რედაქცია
ამ თვის დამლევს
გადადის სათავ.-აზნ. ქარვასლაში

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 25 მარტს
ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწე ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ
ქართული დრამატიული დასის არტისტები
ქნ. ბ. ა. ავალიშვილისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით გამართავენ წარმოდგენას
წარმოდგენილი იქნება
ურიელ აკოსტა
ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. გუცკოსი, თარგ. ი. ბაქრაძისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ავალიშვილისა, გამყრელიძისა, კუნდული; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, გედევანოვი, დადიანი, კანდელაკი, წერეთელი, თამაზიშვილი, ჯაფარიძე და სხვანი.
დასაწყისი 8 საათზე.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.
ბილეთები დღეიდანვე ისყიდება თეატრის კასსაში.

ქუდების და შლაპების
სახელოსნო და მაღაზიის

დ. გვახარიასი

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი
დიდძალი საქონელი
სააღდგომოდ
ქუდები და შლიაპები
ვაჟებისა, ქალებისა და ყმაწვილებისა
იაფობა!
გადაკეთება ძველების ახლებზე და ნახმარის შეკეთება
ШЛЯПНАЯ МАСТЕРСКАЯ
Д. Гвахарія
КЪ ПАСХѢ БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ ДЕШЕВИЗНА
(13—5) шляпъ женскихъ, мужскикъ и дѣтскихъ.
Тифлисъ, Лорисъ-Меликовская ул. д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.

იაფობა გაზრობა
ლორთქიფანიძეს
სავაჭრო და მაღაზიის
თამამშევის ქარვასლაში № 3 და 4, შტაბის მხრივ, სასტ. «კავკაზ»-ის პირდაპირ.
მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეიდან ჩემს სავაჭროში დავნიშნე
იაფობა-ვაჭრობა
ყიდვება ყოველგვარი საფარ-თლო, საფარჩეულო და საქონელი აპრეშუმე-ული, შა-ლეული ტილოეუ-ლი, ბამ-ბეული და სხ.
= ფასები ყველაფერზე ძლიერ დაკლებულია =
ფასები ჩვეულებრივს და ქარხნების ფასებზე 20 და 30 პროცენ. ნაკლებია!! ვთხოვთ ყველას მობრძანდნენ და თვითონ დარწმუნდნენ ჩვენის საქონლის იაფობაში, თამამშევის ქარვ. № 3 და 4, შტაბის პირდაპირ.
Магазинъ Лордкипанидзе
*Караванъ-сарай Тамамшева, № 3 и 4, противъ Гл. штаба*
НАЗНАЧЕНА БОЛЬШАЯ РАСПРОДАЖА
уступка отъ 20 до 30°/₀°/₀ съ фабричныхъ цѣнъ
(30—20) პატივისცემით ლორთქიფანიძე.

თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი თ. ი. გ. ჭავჭავაძისა, რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.
დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 15 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.
პირველი ტომი გაიყიდება 70 კ. | მესამე ტომი გაიყიდება 60 კ.
მეორე „ „ 60 „ | მეოთხე (ორი წიგნია) 1 მ. 20
და ოთხავე ტომი კი თად 3 მანათად.
ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას—პირველსა, მეორესა და მესამე ტომზე თექვსმეტ-თექვსმეტი კაპ. თითოეულზე, ხოლო მეოთხეზე 24 კაპ.
წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღის თავში. (15—10)

= მგზავრთა საყურადღეოდ =
მარტის 5-დან გაიღება
ახლად გაწყობილი
სლავიანის
სასტუმრო
შუაბაზრის მახლობლად, ორბელიანის უბნის ბოლოს, სადაც წინად «მუსიკალური საზოგადოება» იყო.
მშვენივრად გაწყობილი და მორთული ოთახები
მაღალი, მშრალი, სინათლიანი და მყუდრო.
ფასი: დღიურად 50 კ. 5 მანათამდე
თვიურად 10 მ. 50 მანათამდე
СЛАВЯНСКАЯ ГОСТИНИЦА
домъ Армянской семинаріи, на Салд. базарѣ.
Чистота и дешевизна.
პატივის-ცემით დიმიტრი ხუნდაძე
(30—11)

გამოვიდა და ისყიდება
ცხოვრება
ღირსისა და ნეტარისა
თეოდორასი
გამოცემული
მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან
ფასი 5 კაპ.
იყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და ეკკლესიებში. (10—3)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, პიგალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ვერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხეჩატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლინი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.
ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—124)

ვყიდულობ
ყოველგვარ
ძველებურ ტანისამოსებს
ქართლ-კახურს, ფშავ-ხევსურულს, თუშურს, მთიულს, გურულის, იმერულს, აჭარულს, მეგრულს, რაჭულს, სვანურს და აფხაზურს.
ტანისამოსი და საქალამნეები უნდა იყოს ძველებური და გამოსადეგარი ჰერბარიუმისათვის სახმარებლად.
განსაკუთრებით სასურველია მღვდლების საეკკლესიო შესამოსლები მხოლოდ ძველები და სახმარებლად გამოუდეგარნი.
მსურველთ მიმართონ მხატვარს გიგო გაბაშვილს. Тифлисъ, Дворц. д. Грузинс. Дворян. Художнику Г. И. Габаеву. (12—12)

# დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ვაშინგტონი.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ იაპონიის პასუხი არ შეიცავს კუბის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო წინადადებას. როგორც-კი მინისტრები ბჭობას გაათავებენ, პრეზიდენტი დეკლარაციას გამოაცხადებს.

**პარიზი.** ნიუ-იორკიდან დეპეშით იტყობინებიან. რომ ისპანიის ეძლევა 24 საათი გადაწყვეტილების მისაღებად. მაკ-კინლეიმ ნება-რთვა მიიღო კონგრესისაგან სცადოს დიპლომატიური საშვალება ორშაბათამდე; მხოლოდ კუბის დამოუკიდებლობის გამოცხადება შეაყენებს ამერიკის ჩარევას. ისპანიის პასუხს დღეს მოელიან. თუ დამოუკიდებლობა არ განაცხადა, პარასკევს ულტიმატუმი გაიგზავნება.

**ვენა.** გაზეთებში აღნიშნეს თვალსაჩინო მნიშვნელობა იმპერატორის რესკრიპტისა ერც-გერცოგის ფრანც ფერდინანდის მიმართ. ეს რესკრიპტი პირდაპირ მოასწავებს ერცგერცოგის მომავალში ტახტის მემკვიდრედ დანიშვნას.

**პეტერბურგი.** სასჯულო საქმეთა მინისტრმა, საზღვარ გარეთ გამგზავრების წინ, სამინისტროს მართვა მიანდო მინისტრის ამხანაგს ბუტოვსკის.

ჩინეთის მთავრობასთან დადგენილ თანხმობის პირობათა ასასრულებლად შედგენილ იქმნა ხმელეთის ჯარი, რომელიც 5 მარტს ვლადივასტოკს გაიგზავნა რუსეთის წყნარ ოკეანის ესკადრასთან შესაერთებლად. 9 მარტს აღნიშნული ჯარი შეუერთდა ესკადრას პორტ-არტურში და მიიღო ესკადრის უფროსის, კონტრ-ადმირალის დუბასოვის უფროსობა. 15 მარტს ჩინეთის ჯარი გავიდა პორტ-არტურიდან. 16 მარტს დილით ნაპირზე გამოვიდა ხმელეთის ჯარი და ესკადრის დესანტი; შემდეგ შეუდგნენ ქალაქისა და ციხე-სიმაგრეთა დაჭერას. „ოქროს მთაზე“ აღმართულ იქმნა ერთად რუსეთისა და ჩინეთის დროშები, რომლებსაც ესკადრონი 21-ჯერ თოფის სროლით მიეგება.

ამავე დროს დაჭერილ იქმნა პორტი ტალიანვანიც, სადაც აგრეთვე აღმართეს დროშები. წეს-რიგი არსად დარღვეულა. ჩინეთის მთავრობასთან მომხდარ ხელშეკრულობის ძალით, მიღებულია ზომები იმ მიზნით, რომ მკვიდრ ნიადაგზე დამყარდეს ჩინეთისაგან დათმობილ ადგილის დაჭერის საქმე.

**მოსკოვი.** 20 მარტს გაგზავნილ იქმნა ციმბირის პირველი მატარებელი.

——oooo——

# ახალი ამბავი

*** საფოსტო წერილების ყუთები. განზრახვა აქვთ შემოიღონ ახალი მოწყობილობის საფოსტო ყუთები, რომლებსაც ორი პირი ექნება: ერთი ქალაქის, მეორე—ქალაქ გარედ წერილების ჩასაგდებად; თვითეული ყუთი ორ-ფერად იქნება შეღებილი.

*** ხიზანთა საქმე. როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, ხიზანთა საქმე განუხილველი დარჩება ამ გაზაფხულზე სახელმწიფო საბჭოში, რადგანაც ჯერ სამიწად-მოქმედო სამინისტროს ამ საქმის შესახებ თავისი დასკვნა არ წარუდგენია. საქმე გადაიდება შემოდგომისათვის. ამ საქმის განხილვა დაიშნულია იმ ბარათის გამო, რომელიც ტფილისის თავად-აზნაურობამ წარადგინა. როგორც ისმის, მიღებულ იქმნება მხოლოდ ზოგიერთი პუნქტი ამ შუამდგომლობისა.

*** წყლების მოდიდება. ლიახვისა და მტკვრის მოდიდებას განსაცდელში ჩაუგდია მკვიდრნი. ლიახვი კვლავ წალეკვას უპირებს გორის მიდამოებს. ხოლო მტკვრის მოდიდების გამო სრულიად შეწყდარა მისვლა გომსა და მტკვრის მარცხნივ მყოფ სოფლებ შუა. წყალი თან და თან მატულობს.

*** სომხის მღვდლის ტერ-ხაჩატუროვის საქმე. 21 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატში განხილულ იქმნა ერევნის გუბერნიის, ახალ-ბაიაზეთის მაზრის სოფ. ულიქარდაშის სომეხ-გრიგორიანთა მღვდლის ტერ-ყაზარ ტერ-ხაჩატუროვის (55 წ.) საქმე, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 1892 წ. ნოემბერში მან ანგარების მოყვარეობით, ბალდასარ დავითის ძის სტეფანოვის სამხედრო ბეგარისაგან განსათავისუფლებლად, მოწმობა წარადგინა, სტეფანოვი უკვე გარდაიცვალა, თუმცა კარგად იცოდა, რომ იგი ცოცხალი იყო. ეს საქმე განიხილა ერევნის საოლქო სასამართლომ, რომელმაც ტერ ყაზარ ტერ-ხაჩატუროვი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას ყოველგვარ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ტობოლის გუბერნიაში გადასახლება. პალატამ, სადაც ბრალდებულმა აპელაცია გადაიტანა, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი და შეამცირა მხოლოდ ვადა, რომელზედაც ბრალდებულს აკრძალული ჰქონდა საცხოვრებლად დანიშნულ ადგილიდან წასვლა.

*** ქალაქის შემოსავალ-გასავალი. 1897 წ. როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდან სჩანს, ქალაქს შემოსავალი ყველა წყაროებიდან ჰქონია 1,184,544 მან. და 42 კაპ. შემოსავალი, იმავე წელს დაუხარჯავს 1,107,318 მან. და 71 კ.

*** მიწის დაყრის აკრძალვა მტკვრის პირზე. ტფილისის ქალაქის მოურავმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ ამ ჟამად ქალაქმა აკრძალა მიწის დაყრა მტკვრის ნაპირზე ბორანის მახლობლად, მუხრანის ქუჩიდან.

*** ქ. ქუთაისი. ამინდი. ხუთი დღეა, რაც ქარი ჰქრის და გარეთ ვეღარ გამოვსულვართ: საშინელი მტვერი თვალებს გვიფსკვნის, სულს გვიხუთავს; ნეტა ჩვენი გამგეობა ქუჩებს რად არ მოარწყვევინებს მუშებს, რომ მტვერი არ დადგეს. დავდივართ თვალებზე ხელ-აფარებულნი და აბა წარმოიდგინეთ, როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა ქუთაისის ოღრო-ჩოღრო ქუჩებზე გავლის დროს, რომლებზედაც დღისითაც საშიშოა გავლა.

— ქუთაისის ახალგაზრდობა მეტად მეტად დაწინაურებულია! არაფერი მას არ აკლია—ხმალი-ხანჯალი, ოვოლვერ-დამბაჩა, აკლია მხოლოდ ზარბაზანი, რომელიც ალბად ვერ უზიდავთ და მიტომ არა ჰკიდიათ. პრანჭვა-გრეხითა და გულის ფანცქალით მიეშურებიან მათთვის ახლად გახსნილს „გასართობში“, რომელიც პირველ ქუჩაზეა გამოჭიმული უფასო ბიბლიოთეკის გვერდით. თუმცა ეს ბიბლიოთეკა უფასოა, მაგრამ ფასიან «გასართობში» მაინც მეტია ხალხი, სადაც წამ-და უწუმ გაისმის „დავ-დავბასეს“ და «ჟოლტი სერედინეს» ძახილი. ქეიფობენ დღე და ღამე, ეტლი-ეტლს მისდევს რიხინით, დროს ატარებენ «მუდამ ჟამს მოუწყენარნი». აქაურს ქალებსაც ხომ სულ მათკენ უჭირავთ თვალი და მათთან ერთად მიისწრაფიან და მიდიან წინ!.. აქა იქ შეჰხვდებით ფერ-მიხდილ, დღე-გამწარებულ მუშა ხალხს, რომელსაც არავინ არავითარს ყურადღებას არ აქცევს...

ვლასა მგელაძე

---

## სასამართლოს მატიანე

მეაფთიაქის მოკვლის საქმე. 21 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ნიკოლოზ კორძაიას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა სამტრედიის მეაფთიაქის მოკვლა. ამ საქმის გარემოება შემდეგია.

2 აპრილს 1897 წ. დილის 9 საათზე, დ. სამტრედიაში ადგილობრივი აფთიაქის პატრონი სავნიცკი გავიდა აფთიაქიდან და აღარ დაბრუნებულა. მის საძებრად ცოლმა გაგზავნა აფთიაქის შეგირდი ქვანდატანი, რომელმაც ნახა სავნიცკი აფთიაქის მოსახვევთან, უგრძნობლად დაგდებული. როცა სავნიცკი მოსულიერდა, განაცხადა, ნიკოლოზ კორძაიამ დამჭრაო, რომელიც ალბად მას მისახვევთან ჩასაფროდა. კორძაია წინად შეგირდად იყო მის აფთიაქში, მაგრამ დათხოვნილ იქმნა ერთი თვის წინად დანაშაულის ჩადენამდე. მან სთხოვა სავნიცკს, ისევ მიმიღე შეგირდადაო, მაგრამ უარი მიიღო; მაშინ კორძაია რამდენიმე დღის შემდეგ მივიდა აფთიაქში და გალახა შეგირდი ბორის დვორაკოვსკი, რის გამო სავნიცკიმ მას აუკრძალა აფთიაქში სიარული, და ამისათვის კორძაიამ მაზე უკმაყოფილება ჩაიდვა გულში. 22 აპრილს სავნიცკი გარდაიცვალა, და კორძაია სამართალში იქმნა მიცემული.

ეს საქმე 27 ნოემბერს 1897 წ. განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც კორძაია დამნაშავედ სცნო სავნიცკის მძიმედ დაჭრაში და განზრახვით მოკვლაში, და მიუსაჯა მას ყოველგვარ უფლებათა ჩამორთმევა და 4 წლის კატორღა. პალატამ, სადაც ბრალდებულმა აპელაცია გადაიტანა, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი. («კავკ.»)

---


## განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბარონ კუნპულში)

| | |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . . | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . | „—80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . | „—15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით . . . . . . | 2—50 |
| იგივე ტომი III . . . . . | 1—„ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . . . . | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . . | 3—„ |
| ჩანგი . . . . . . | 1— |
| სოფლის კუნწულა, . . დ. მაჩხანელისა . . . . . . | „—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . | 2—50 |
| იგივე ტომი II . . . . . | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . . . . . | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის. . . . . | „—25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . | „—75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე . . | 1—50 |
| სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . . | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . . | 1—„ |
| იგავ არაკნი, მისივე . . . | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . . | 2—50 |
| აღა მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ყაზ.-მე ჯორბენაძისა . . . . . | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, გ. პოტოტსი . . . . . . . | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . | „—40 |
| აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . . . . . . . | 1—„ |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . . | 1—60 |
| დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . . | „ 20 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . , . . | —50 |
| სიბრძნე ბალავარისი . . . | 3—30 |

(100—69)



# Подписка на 1898 годъ
НА ЖУРНАЛЪ
# „ДѢЯТЕЛЬ“

Въ качествѣ сотрудниковъ изъявили желаніе принять участіе профессора: А. И. Александровъ, Е. Ѳ. Будде, А. Ѳ. Гусевъ, Л. О. Даркшевичъ, И. М. Догель, Г. Ѳ. Дормидонтовъ, Н. П. Загоскинъ, В. Ф. Залѣсскій, Н. А. Засѣцкій, М. Я. Капустинъ, Н. Ѳ. Катановъ, Ѳ. Г. Мищенко, А. В. Поповъ, П. А. Никольскій, О. А. Рустицкій, И. Н. Смирновъ, Н. В. Сорокинъ, Е. П. Янишевскій, А. И. Подбѣльскій. кромѣ того: А. В. Нечаевъ, В. Н. Агѳоновъ, С. С. Бырдинъ, С. М. Капустина, Л. Ѳ. Мищенко, Я. Посадскій, Р. В. Ризположенскій, С. М. Смирновъ, В. А. Никитская, С. Н. Сорокина, М. С. Сегель, П. В. Траубенбергъ, свящ. В. А. Охотинъ, В. А. Ислентьевъ, М. В. Казанскій, М. Д. Закревская и М. А. Готвальдъ.

*Программа журнала слѣдующая:*

1. Правительственныя распоряженія.
2. Статьи литературнаго, экономическаго, гигіеническаго, педагогическаго и медицинскаго содержанія.
3. Повѣсти, разсказы, стихотворенія и другія статьи бытового, нравственнаго и историческаго содержанія.
4. Письма изъ провинціи.
5. Свѣдѣнія, полезныя въ жизни.
6. Изъ жизни и печати.
7. Свѣдѣнія о дѣятельности благотворительныхъ учрежденій.
8. Борьба съ пьянствомъ въ Россіи и другихъ странахъ.
9. Свѣдѣнія о дѣятельности Обществъ Трезвости въ россіи и за границею.
10. Протоколы Казанскаго Общества Трезвости.
11. Критика и библіографія.
12. Объявленія.

**Подписная цѣна за годъ 2 рубля.**

Адресъ редакціи: Казань, типографія Императорскаго Казанскаго Университета, Черноозерская улица, собствен. домъ.

*Чрезъ редакцію журнала «Дѣятель» можно пріобрѣтать слѣдующія книги:*

„Дѣятель“ журналъ за 1896 годъ безъ перваго №—2 р.

Царь-Освободитель преобразователь и просвѣтитель Россіи, Императоръ Александръ II. А. И Александрова . . . › р. 20 к.
Отчего гибнутъ люди. За сотню. . . . . . 1 р. › к.
Всемѣрно должно удаляться отъ пьянства. Тихона Задовскаго. За сотню. . . . . . . 1 р. › к.
Вино-ядъ. Защитникамъ умѣреннаго употребленія вина. Рускимъ матерямъ. За сотню. . . . . . 1 р. 50 к.
Слова отца Іоанна Ильича Сергіева противъ пьянства. За сотню 1 р. › к.
Вино для человѣка и его потомства —ядъ. За сотню. . 2 р. › к.
Въ защиту вина . . . . . . . › р. 20 к.
Спиртные напитки, какъ располагающая причина къ разнаго рода заболѣваніямъ человѣка. И. М. Догеля. (Одоб. учен. комит. › р. 40 к.

(6—6) Редакторъ-издатель **А Соловьевъ**

---

# Открыта подписка на 1898 г.
*(четвертый годъ изданія)*
НА САМУЮ ДЕШЕВУЮ ГАЗЕТУ
БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ
# „РУССКОЕ СЛОВО“

**Въ праздничные дни газета будетъ выходить съ иллюстрированными, дополнительными листами. „Русское Слово“ будетъ, такимъ образомъ самою дешевою и въ то-же время возможно болѣе полною, живою и разносторонней ежедневною газетой.**

Спеціально для «Русскаго Слова» устроена собственная типографія снабженная ротаціонными машинами новѣйшаго образца, печатающими доя 18.000 листовъ въ часъ. Образцовое устройство типографіи грантируетъ улучшеніе изданія съ внѣшней стороны и устраняетъ тѣ случайныя запозданія въ выходѣ газеты, какія бывали прежде. Приняты всѣ мѣры къ тому, чтобы газета доставлялась самымъ аккуратнымъ образомъ какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ.

**Подписная цѣна** без доставки и пересылки: на годъ 4 руб., на полгода 1 р., на 3 мѣсяца 1 р., на 1 мѣсяцъ 40 к.; съ доставкой и пересылкой по всей Россіи: на годъ 5 р., на полгода 3 р., на 3 мѣс. 1 р. 75 к., на 2 мѣс. 1 р. 20 к., на 1 мѣс. 60 к.

**Подписка принимается:** *въ книжныхъ магазинахъ Т-ва И. Д. Сытина, въ Москвѣ, С.-Петербургѣ, Кіевѣ и Варшавѣ, а также и во всѣхъ книжныхъ магазинахъ Имперіи.*

Подписка принимается на всѣ сроки не иначе, какъ съ 1-го числа мѣсяца, и не далѣе, какъ на 1 годъ. Разсрочка во взносѣ годовой платы допускается на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ 2 р., къ 1-му апрѣля 1 р. и къ 1-му іюня 2 р., или—при подпискѣ 3 руб. и къ 1-му іюля 2 р. При просрочкѣ 2-го взноса при первомъ условіи высылка газеты прекращается съ 1-го апрѣля, при второмъ условіи—съ 1-го іюля. Для пользованія разсрочкой необходимо при присылкѣ перваго взноса заявлять о своемъ желаніи пользоваться разсрочкой. При каждой перемѣнѣ адреса гг. подписчики уплачиваютъ 20 коп. и присылаютъ бандероль, подъ которой ими получалась газета.

**Адресъ редакціи:** Москва, Ильинская вор., д. И. С. Титова.

Газета „Русское Слово“ допущена Министерств. Народн. Просвѣщ. въ безплатныя народныя читальни.

Издатель *И. Д. Сытинъ.* Редакторъ *Анатолій Александровъ.*

(12—6)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Марта, 1898 г. სტ-მბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ. № 28. რედაქტორ-გამომცემელი ივ. გუნია.